



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 287

ქალაქი ქუთაისი

27

ივლისი

2016 წელი

ქალაქ ქუთაისში, ლ.საღარაძის ქუჩის №6/ლ. საღარაძის ქუჩის №4-ში მდებარე, შპს „დრიმ ჰაუსის“ საკუთრების მიწის ნაკვეთისათვის (საკადასტრო კოდი №03.03.26.253) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის K2 კოეფიციენტის დადგენის შ ე ს ა ხ ე ბ

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 30 ივლისის №926 ბრძანებით შეთანხმებულია ქალაქ ქუთაისში, საღარაძის ქუჩის №6/საღარაძის ქუჩის №4-ში მდებარე, შპს „დრიმ ჰაუსის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, 4 სართულიანი (მანსარდით) საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტის პროექტი და გაცემულია მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

მშენებლობის დაწყების შემდგომ, შპს „დრიმ ჰაუსის“ დირექტორმა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტის პროექტი და მოითხოვა მისი შეთანხმება. კორექტირებული პროექტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო ერთი სართულის დამატება და 4 სართულის (მანსარდით) ნაცვლად, მოითხოვა 5 სართულიანი (მანსარდით) საცხოვრებელი სახლის პროექტის შეთანხმება. შესაბამისად, გაიზარდა შენობის გაბარიტული ზომები (სიმაღლე), შეიცვალა ქალაქმშენებლობითი პირობები და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის დადგენილი მნიშვნელობა K2 - 3.5-დან გაიზარდა 4.34-მდე. K2 კოეფიციენტის გაზრდის გამო წარმოიშვა აუცილებლობა სპეციალური ზონალური შეთანხმების თაობაზე, რაც არ განხორციელებულა.

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 20 სექტემბრის №1187 ბრძანებით შეთანხმებულია ქალაქ ქუთაისში, საღარაძის ქუჩის №6/საღარაძის ქუჩის №4-ში მდებარე, შპს „დრიმ ჰაუსის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტის პროექტი (5 სართულიანი, მანსარდით) და გაცემულია მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნული საკითხი განიხილა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტმა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2015 წლის 29 სექტემბერს გამოგზავნილი №11/6902 წერილით განმარტა, რომ „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების მე-17 მუხლის შესაბამისად, შესაძლებლად ჩათვალა სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მიზნით, ხელახლა დაიწყოს ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოება.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 სექტემბრის №109 დადგენილებით შემოღებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელი, რომელიც არის ადგილობრივ ბიუჯეტში აუცილებელი გადასახდელი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისში, ლ.სადარაძის ქუჩის №6/ლ. სადარაძის ქუჩის №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთისათვის (საკადასტრო კოდი №03.03.26.253) დადგინდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის K₂ კოეფიციენტი 4,34.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ბექა ყანჩელი